ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 10 აგვისტო 2002 №149 (1671) | ფასი 50 თეთრი







# ბლატერმა თქვა, გამგეობამ გაიგოს

## არ გაგრიცხავთ, ჭრილობა 24 აგვისტოს, წესდება შეცვალეთ!

საქართველოს ფიფადან გარიცხვა არ ემუქრება, ეს საკითხი გამოირიცხა — გვითხრა მერაბ ჟორდანიამ, რომელსაც გუშინ შვეიცარიაში დავუკავშირდით. ქართული ფეხბურთის ქომაგისთვის ეს უმნიშვნელოვანესი ცნობა უნდა იყოს, რაკილა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით კანდიდატთა ჭიდილმა ჯერ სასამართლომდე, მერე კი ფიფამდე მიაღწია. ხოლო ფიფა ეროვნულ ფედერაციათა საქმეებში სამოქალაქო სასამართლოს ჩარევას გმობს და ამის გამო ქვეყნებს მოკვეთით ემუქრება. ამის უამრავი პრეცენდენტი არსებობს. მერაბ ჟორდანიამ კი ეს განცხადება თვით ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ქართული ფეხბურთი გადარჩა — კაცი პირველად, ალბათ, ამას გაიფიქრებს — არ მოკვეთენ, ესე იგი, იარსებებს! მაგრამ როგორ იარსებებს, რა პირობებში, ეს კიდევ საკითხავია...

მერაბ ჟორდანიასა და ზეპ ბლატერის შეხვედრისას, რომელმაც საათამდე გასტანა, მაგრამ უშუალოდ საარჩევნო პერიპეტიებზე საუბარს ოდენ ათი წუთი დაეთმო, სხვა რამეც ითქვა. კერძოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება შეუსაბამოა ფიფას წესდებასთან! ის აუცილებლად უნდა შეიცვალოს, ოღონდ ყოველივე ეს არჩევნების ჩატარების მერე უნდა მოხდეს. 24 აგვისტოს არჩევნების გადადება კი ყოვლად დაუშვებელია — ესეც ბლატერის მოთხოვნაა.

ამის გათვალისწინებით უკვე გასაგები ხდება ფიფას ლოიალობა ჩვენი ფეხბურთის მოკვეთა-არმოკვეთის საკითხთან დაკავშირებით. ლოგიკას იქამდე მივყავართ, რომ ფიფა, დიახაც, სასტიკი წინააღმდეგია მისი სტრუქტურული ერთეულის საქმეში სამოქალაქო სასამართლოს ნებისმიერი ფორმით ჩარევისა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ქართული სამოქალაქო სამართალი ფიფას წესებთან თანხვედრია და ორივემ ერთად აღიარა ფედერაციის წესდების მტყუანობა.

ზემოთ მოკვეთას გადარჩენილი ქართული ფეხბურთის არსებობის პირობებზე ეჭვი გამოვთქვით და არცთუ უსაფუძვლოდ. საქმე აი, რაშია: მას მერე, რაც მერაბ ჟორდანიას ინტერვიუ ჩამოვართვით, რედაქციაში მოვიდა ფაქსი, რომელშიც ქართული სააგენტო „ინტერ-პრესი" გვაუწყებდა, მერაბ ჟორდანიასა და ზეპ ბლატერის შეხვედრა საერთოდ არ შემდგარა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფიფას პრეზიდენტი ციურიხში არ იმყოფებოდაო.

ცხადია, ეს ცნობა გადამოწმებას საჭიროებდა, რის გამოც ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას შევეხმიანეთ. მან დაადასტურა, რომ ის და მერაბ ჟორდანია გუშინ მართლაც შეხვდნენ ბლატერს და საუბრის შინაარსზეც მოგვითხრო: ათი წუთი არჩევნებზე ვისაუბრეთ, დანარჩენი დრო კი მსოფლიოს ჩემპიონატის გარჩევას მოვანდომეთო.

რა გამოდის? ფაქტია, რომ შეუძლებელია, ჟორდანია ერთდროულად შეხვედროდა და არც შეხვედროდა ზეპ ბლატერს. ისიც ცხადია, რომ ვილაც ტყუის და ეს ტყუილი მოახლოებულ არჩევნებთან არის დაკავშირებული. ტყუილი კატეგორიებად როგორ დავყოთ, მაგრამ როცა საქმე ისეთ ტყუილს ეხება, რომელიც შეუძლებელია, დაიმალოს, დიდ სიბინძურესთან გვაქვს საქმე. ქართული ფეხბურთის არსებობა და გადარჩენა კი, როცა ის სიბინძურეშია ჩაფლული, დიდი ვერაფერი ნუგეშია.

გიორგი დარჯანია

# 12–13 ოქტომბერს უქმეები გაუქმებულია!

## საქართველო – რუსეთი

## ფეხბურთი და რაგბი



გადაწყდა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუს მეტოქეს არც 5 და არც 12, არამედ 13 ოქტომბერს უმასპინძლებს — ასე დაადგინა რაგბის საერთაშორისო საბჭომ.

მსოფლიოს თასის ბოლო შესარჩევ ეტაპზე სამეულის ჯგუფში მოხვედრილი ბორჯღალოსნები 28 სექტემბერს ჯგუფის ფავორიტ ირლანდიას სტუმრად დაუპირისპირდებიან. თავდაპირველად IRB-მ საქართველო — რუსეთის თამაშის თარიღად 5 ოქტომბერი დაადგინა, მაგრამ მოგვიანებით მატჩი ჯერ 12, შემდეგ კი 13 ოქტომბრისთვის გადაიტანა. ბოლო ცვლილება საქართველოს რაგბის კავშირმა ითხოვა, რაკილა 12-ში ქართველები, ოღონდ ფეხბურთელები, ასევე რუსეთის ნაკრებს ხვდებიან. მსოფლიოს რაგბის მამებმა დააკმაყოფილეს ქართველთა თხოვნა და არც ჩვენს მეტოქეს გამოუთქვამს პრეტენზია.

ასე რომ, 12 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები რუსების წაქცევას შეეცდება, 13 ოქტომბერს კი იგივე ქვეყნის წარმომადგენლებს იგივეს დაუპირებენ რჩეული ქართველი მორაგბეები.


მერაბ ჟორდანია

# ბლატერის პასუხი ჟორდანიას თბილისში დახვდება

*გუშინ დილით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ფიფას თავკაც ზეპ ბლატერს შეხვდა და ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებაზე ესაუბრა.*

**დეტალები** ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუმც გავიგეთ: ცალკე მერაბ ჟორდანიას გაგზავნილ წერილზე, ცალკერძ პეტრიაშვილის მიმართვაზე ფიფა ოფიციალურ პასუხს ფეხბურთის ფედერაციას მომავალ კვირას გამოუგზავნის.

ამჟამად კი ჟორდანია — სასამართლო — პეტრიაშვილის საქმეს განიხილავს ფიფას ეროვნულ ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის იურიდიულ-პროცესუალურ საქმეთა პასუხისმგებელი მუშაკი ვინსენ მონიე ფიფას პრეზიდენტის თანაშემწის მიშელ შამპანის ზედამხედველობით.

ფიფას საბოლოო სიტყვამდე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ეს გვითხრა:

— ზეპ ბლატერთან შეხვედრა ნახევარი საათის წინ დამთავრდა. ვეცადე ფიფას პრეზიდენტისთვის ქართულ ფეხბურთში შექმნილი ვითარება ამეხსნა და დამერწმუნებინა, რომ საგანგაშო არაფერია. ვერ გეტყვით, ეს როგორ მოვახერხე. საქმე ისევ ეროვნული ასოციაციების კომიტეტში იხილება და პასუხს უახლოეს ოთხ-ხუთ დღეში თბილისში მივიღებთ. საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როცა კომიტეტის მორიგი შეკრებისას ფიფაში გაგზავნილი დავით პეტრიაშვილის წერილი წაიკითხეს. ვისაც სასამართლომ მანდატი გაუუქმა, ის ყრილობაში მონაწილეობას თუ მიიღებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ასცდება, წერს პეტრიაშვილი. არ ვიცოდი, კომიტეტის წევრებისთვის რა მეპასუხა.

**— ბლატერთან შეხვედრისას არაფერი გადაგიწყვეტიათ?**

— მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია — ყრილობა, როგორც დაგეგმილი გვქონდა, 24 აგვისტოს აუცილებლად გაიმართება. გადადების ვარიანტი არ არსებობს. ეს ფიფას რეკომენდაციაა.

**— ფედერაციის წინააღმდეგ სამოქალაქო სასამართლოში სარჩელი პრეზიდენტობის მესამე კანდიდატმა, ჯაჟა ჩხაიძემაც შეიტანა და ერთ-ერთი მისი მოთხოვნა სწორედ ყრილობის გადადებაა.**

— უკვე აღარ მაინტერესებს, ვის რა სარჩელი შეაქვს სასამართლოში. საბოლოოდ ყველა ასეთი საქმე მაინც ფიფას გასარჩევი იქნება. ჩვენ კი, რამდენჯერმე ვთქვი, ფიფას ნებისმიერ გადაწყვეტილებას უყოყმანოდ დავემორჩილებით.

**— ბლატერთან შეხვედრისას ფიფას შესაძლო სანქციების არანაირი კონტურები არ გამოხატულა?**

— ვერაფერს გეტყვით. პასუხს ასოციაციების კომიტეტი გვაცნობებს. ისე კი, ბლატერმა ჩემთან საუბრისას რამდენჯერმე ხაზგასმით თქვა, დავა სასამართლომდე არ უნდა მისულიყო, ფედერაციაშივე უნდა მოგვარებულიყო, ამით ფიფას წესდება დაირღვა და სფფ-ს წესდებაც ფიფასთან შესაბამისობაში მოიყვანეთო.

**— ეხე იგი, სასამართლო ფედერაციის საქმეში არ უნდა ჩარეულიყო?**

— დიახ, ფიფას პრეზიდენტმა ასე თქვა.

**—მაშინ ეს თქვენს მიერ ფიფაში გაგზავნილი წერილის პასუხად უნდა ჩაითვალოს...**

— აკი ვთქვი, პასუხს ოთხ-ხუთ დღეში მივიღებთ-მეთქი და ამას ყველა გაიგებს.

**— ფიფადან საქართველოს გარიცხვაზე საუბარი არ ყოფილა?**

— არა, საბედნიეროდ, ეს საკითხი გამოირიცხა.

**— ბლატერს სხვა არაფერი უთქვამს?**

— დეტალებს ვერ გეტყვით. ჩემი მხრიდან კი თხოვნა იყო, ფედერაციას, სასამართლოსა და პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ურთიერთობის რაიმე კომპრომისული ფორმა გამოენახოს. მეტის თქმა არ შემიძლია, პასუხს დაველოდოთ.

**— პასუხს თბილისში დაელოდებით?**

— დიახ, იქამდე, ალბათ, ჩამოვალ.

**ჰოჩა ინასარიძე**

## საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „ინტერ-პრესი"

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების საკითხი „ფიფას" ნაციონალური ასოციაციების კომიტეტს არ განუხილია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა „ფიფა"-ს იურიდიული პროცესუალური საკითხების პასუხისმგებელ პირთან ბ-ნი ვინსენტ მონიესთან, ხოლო „ფიფას" პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ამჟამად შვეიცარიაში არ იმყოფება.

როგორც ბ-ნ ვინსენტ მონიემ განაცხადა, „ფიფა"-დან სფფ-ს გარიცხვის საკითხი დღის წესრიგში საერთოდ არ მდგარა. „ფიფა" შეწუხებულია იმით, რომ სფფ-ს წესდება არანაირ შესაბამისობაში არ არის „ფიფას" წესდებასთან და სინანულს გამოთქვამენ, რომ 24 აგვისტოს არჩევნები აღნიშნული წესდებით უნდა ჩატარდეს.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა „ფიფა"-ს პრეს-ოფიცერს ნიკოლაზ მანგოს

**— ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგაცია იმყოფება „ფიფა"-ში და ვიზიტის განმავლობაში რა საკითხები განიხილეს სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით?**

— განვიხილეთ რამოდენიმე საკითხი და მათ შორის მინდა ავღნიშნო, პირველ რიგში ის, რომ სფფ-ს ამჟამინდელი წესდება აუცილებლად უნდა შეიცვალოს და გადაისინჯოს. მეორე საკითხი არის ის, რომ არჩევნები, როგორც დაგეგმილია, 24 აგვისტოს უნდა ჩატარდეს.

**— სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით რა პოზიცია უკავია „ფიფა"-ს?**

— როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენ ვურჩიეთ სფფ-ს დელეგაციას აუცილებლად შეცვალოს წესდება, მაგრამ ეს ვერ მოხდება 24 აგვისტომდე და ამიტომ მოვლენები ისე უნდა განვითარდეს, როგორც ამჟამად მიმდინარეობს.

**— ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ ურჩიეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომ არ დაემორჩილოს სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას?**

— არა, ჩვენ ასეთი რჩევა არ მიგვიცია, ჩვენ ვურჩიეთ, რომ ის, რაც არის დაგეგმილი, ისე უნდა შეასრულონ, რაც ნიშნავს იმას, რომ არჩევნები 24 აგვისტოს აუცილებლად უნდა ჩატარდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო არჩევნების შემდეგ ექვსი თვის ვადაში უნდა შეიცვალოს სფფ-ს წესდება.

ამის შესახებ ფიფამ ფაქსით აცნობა სფფ-ს ფედერაციას.

**9 აგვისტო, 2002**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | **პოლონეთი** |
| ბუნდესლიგა. I ტური | II ტური |
| დორტმუნდი 2:2 ჰერტა | ვისლა 5:2 რუხი |
| **საფრანგეთი** | **თურქეთი** |
| I დივიზიონი. II ტური | I ტური |
| ბორდო 0:0 პსჟ | ტრაბზონსპორი 0:0 ფენერბაჩე |
| **ბელგია** | **რუსეთი** |
| I დივიზიონი. I ტური | პრემიერლიგა XIX ტური |
| გენკი 2:3 ლოკერენი | ცსკა 5:1 როსტსელმაში |
| სტანდარდი 0:3 მუსკრონი | |


**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი",

ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით.

ფასი შეთანხმებით

**ტელ: 22-23-15**


საქართველოს 14 ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — პირველი ეტაპი — **2 ტური**

თბილისი. ეროვნული. 500 (ტევადობა 70 400). 9 აგვისტო. 20 საათი

## დინამო 3:0 კოლხეთი

1:0 ვაშაკიძე (34), 2:0 ახალაია (83), 3:0 დარასელია (84)

| | |
|---|---|
| დინამო: ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, კარლოსი, გოგობერიშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე (კანდელაკი 80), ბურდული (ბობოხიძე 86), დარასელია, ანჩაბაძე, მიქაძე (ახალაია 64); სათადარიგონი: გვარამაძე, კვირკველია, მაზიაშვილი, სამხარაძე; მწვრთნელი: ივო შუშაკი | კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ახვლედიანი (გურგენიძე 81), ქობულაძე, გაბიდაური (ლონდაძე 46), ე. გვასალია, ფამფულიძე, სვანიძე (კრასოვსკი 66), ნარსია, გაგუა, გოგბერიძე; სათადარიგონი: ჩემია; მწვრთნელი: სოსო ფილია |

მსაჯები: გ. მაღალაშვილი; ლ. სილაგავა, ს. შალამბერიძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

სფფ-ს ინსპექტორი: ა. მიქაძე

ჯარიმა 5-10; კუთხური 5-1; კარისკენ დარტყმა 6-2; კარში დარტყმა 12-1; თამაშგარე 3-0

# დინამო ასე ვერ გაფრინდება

## შუშაკის სიახლე ოდენ ახალაიაა

**ფეხბურთის** ხნე და გუშინდელი თამაში გვაძლევს იმის საშუალებას, ვთქვათ, რომ მიუხედავად დიდი ანგარიშით გამარჯვებისა, მძლე გუნდმა დაბალი ხარისხის ფეხბურთი შემოგვთავაზა. რა გაეწყობა, ფეხბურთში ასეც ხდება.

ივო შუშაკის „დინამომ" ისევე ითამაშა, როგორც გასულ გაზაფხულზე. ეს კი ჩემპიონობის წინაპირობა ნამდვილად არ არის, ხოლო ევროტურნირებზე ტალინის ტვმკ-სთან არა, მაგრამ მერე შერცხვენას უნდა ველოდოთ, ცხადია, გუშინდელი თამაშიდან გამომდინარე.

მაგრამ იმედი ხომ იმისაა, რომ არ დავკარგოთ. „დინამომ" გუშინ პირველი მატჩი ჩაატარა ახალ სეზონში და ვინძლო ბევრი წუნიც ამის ბრალი იყოს.

თბილისელებმა უკეთესი მომზადების და მოთამაშეების წყალობით დაჯაბნეს ფოთელები, თორემ ლაღი, მწყობრი და გააზრებული ფეხბურთი ვერ აჩვენეს.

სტუმრებმა მოხდენილი ქუსლურებით ერთი-ორჯერ კარგად გააგორეს ბურთი და ეგ იყო და ეგ. კიდევ, მამუკა გვასალიას არ უნდა დავუკარგოთ გარჯა, თორემ „კოლხეთი" სულ მთლად დაჭყლეტილი დატოვებდა წვიმით კარგად დანამულ „ეროვნულს".

კარლოსის და ბურდულის გაცუდებულ კარგ მომენტებს, „დინამომ" ანჩაბაძისა და გოგობერიშვილის არაზუსტი შორეულ დარტყმები მიაყოლა და გოლი მერე შეაგდო — ანჩაბაძის კუთხურს თავი ირაკლი ვაშაკიძემ დაჰკრა და კოლხთა ერთ-ერთი მცველი ოდენ კარს ხაზს იქით შესწვდა ბურთს.

მეორე ტაიმში ფოთელები სულ მთლად მისავათდნენ.

ჯერ ელდარ გვასალიამ გამოიტანა კარიდან ანჩაბაძის ახლოდან დარტყმული, მერე მამუკა გვასალიამ ივაჟკაცა დარასელიას მიერ დაშენილ ბურთებზე, შემდეგ ვაშაკიძემ ააცილა თავურით.

ამას მოჰყვა დაახლოებით ოცწუთიანი ისეთი მონაკვეთი, „დინამო" მაგრად რომ ვერ ჩხვლეტდა მეტოქეს, მაგრამ შუშაკს ახალწვეული ლადო ახალაიას შემოსვლამ გაუმართლა, რომელიც ანჩაბაძის პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა, ბოლომდე იბრძოლა და პირველი დინამოური გოლიც მიითვალა.

ერთ წუთში ისევ ანჩაბაძემ გაახერხა გამჭოლი პასი, რის შემდეგაც ბურდულმა ხარიხას გაარტყა ბურთი, ხოლო დარასელიამ ზუსტად დაამატა — 3:0.

კიდევ იმასაც გეტყვით, რომ გვასალიამ მასთან პირისპირ გასულ ჯერ ბურდულს აჯობა, მერე ახალაიას.

***სოსო ფილია, „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი:***

— მეტოქემ ყველა კომპონენტში გვაჯობა. ჩვენ გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია და შეთამაშება გვაკლია, აგრეთვე სათამაშო პრაქტიკაც — შეკრებაზე მხოლოდ სამი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ.

***ივო შუშაკი, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:***

— მეორე და მესამე გოლი რომ შევაგდეთ, ამოვისუნთქეთ, 1:0 არადამაჯერებელი ანგარიშია. ჩვენ უკეთესად თამაში შეგვიძლია. სიზუსტის და საგოლე მომენტების გამოყენების მხრივ უნდა გამოვასწოროთ საქმე, თორემ ძალიან გაგვიჭირდება. რაც შეეხება ახალაიას, ის უნივერსალური ფეხბურთელითა და მისგან ბევრს ველით.


ფოთელთა მეკარე მამუკა გვასალიას რომ არ ეყოჩაღა, დინამოელებს იქნებ მეოთხეც გაეტანათ

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტური სრულად ჩატარდება. ავად თუ კარგად, სფფ-მ შეძლო ამბოხებულთა დაცხრომა. სავარაუდოდ, სფფ-ის სალარო ამ უქმეებზე 88 ათასი ლარით შეივსება. თანხის გადახდის მზადყოფნა გუშინ „მილანმა" და „მერანმა" დაადასტურეს, რუსთავის „გორდა" კი გუშინ ფედერაციაში ფულით მივიდა

# პრინციპი პრინციპის წილ

## გორდამ სფფ-ში 10 ათასი დოლარი დააგირავა



ვალერი კილასონია

პირველ ტურში წაგებაჩათვლილი „გორდა" დღეს იწყებს ჩემპიონატს „ბათუმთან" საშინაო მატჩით. გუშინ რუსთაველებმა ფედერაციის სალაროში 10 ათასი დოლარი. შეიტანეს გირაოდ. საქმე ის გახლავთ, რომ რუსთაველებმა კრედიტის აღება გუშინაც ვერ მოახერხეს და სერგო ბუილიშვილმა ნასესხები 10 ათასი დოლარი ჩაუთვალა სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძეს. ბუილიშვილმა ფულს ერთი პირობაც დააყოლა... ამაზე გუშინდელ პრესკონფერენციაზე ითქვა, მასპინძელთა ინიციატივით სტადიონის ზედ სარბენ ბილიკებზე რომ გაიმართა. ბუილიშვილის გარდა ჟურნალისტებს შპს კსკ „გორდა 2000"-ს დამფუძნებლები, რუსთავის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რამაზ გოგობერიშვილი და „გორდას" თავკაცი ვარლამ კილასონია დახვდნენ.

**სერგო ბუილიშვილი:**

— ფედერაციაში ფული მივიტანეთ, 10 ათასი დოლარი გირაოდ დაიტოვეს, დღე-დღეზე ველოდებით კრედიტს და სფფ-ში საწევროს ეროვნულ ვალუტაში მივიტანთ. 22 ათასი ლარის სანაცვლოდ 10 000 დოლარს დაგვიბრუნებენ, მაგრამ ამის გარდა სფფ-ს ჩვენთვის 2500 დოლარის მოცემაც მოუწევს. ჩვენ ფედერაციის კანონმდებლობის მორჩილი სუბიექტი ვართ, ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით სფფ-ს შეღავათები ვთხოვეთ, რათა ეტაპობრივად დაგვეფარა საწევრო თანხა. ფედერაციამ უარი გვითხრა. რადგან პრინციპზე მიდგა საქმე, ჩვენც ჩვენისას ვითხოვთ; გეხსომებათ, შარშან საქართველო — ესპანეთის სარაგბო მატჩს რომ დავუთმეთ სტადიონი უსასყიდლოდ. მაშინ იძულებული ვიყავით საფეხბურთო კარები გადაგვეჭრა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ სფ დაგვპირდა, ახალ ალუმინის კარებს დაგიმონტაჟებთო. წყვილი კარის ფასი 2500 დოლარი გახლდათ. სფფ-მ სიტყვა არ თუ ვერ შეასრულა, ამიტომ ჩვენ ახლა ვითხოვთ იმ 2500 დოლარს. ვალერი ჩოლარიას ჩამოსვლისთანავე ეს საკითხი ალბათ დადებითად გადაწყდება და ის ფულიც გუნდის ინტერესებს მოხმარდება...

„გორდას" დიდი გეგმები აქვს. ეს სეზონი, შეიძლება ითქვას, სარეკლამო ხასიათის იქნება, მაყურებელი უნდა დავუბრუნოთ სტადიონს, ამაში ქალაქის მერიც დაგვპირდა დახმარებას. მერია უზრუნველყოფს აბონემენტების და ბილეთების რეალიზაციას, ქალაქში სარეკლამო ფირნიშების განთავსებას. გუნდის და გულშემატკივრების ტრანსპორტირებას გასვლითი მატჩებისას. ამის გარდა, ბევრი სეიოზული გეგმა გვაქვს. სტადიონის დირექტორის, მერაბ კოპალიანის და მის გვერდში მდგომთა ძალისხმევით იმის პრეტენზიაც გაგვიჩნდა, რომ „ფოლადი" საერთაშორისო მატჩების სარბიელად იქცეს.

**რამაზ გოგობერიშვილი:**

— სამწუხაროდ, ქალაქის სპორტსაზოგადოებას დღეს იმის სახსრები არ გააჩნია, რომ გუნდს მაქსიმალურად დაეხმაროს. მიუხედავად ამისა, იმედს არ ვკარგავ, რომ იმის საშუალება მაინც გვექნება, რომ „გორდას" მცირედით მაინც შევეშველოთ.

**ვარლამ კილასონია:**

— რამაზის მორალურ მხარდაჭერას ყოველდღიურად ვგრძნობთ, იგი გუნდის ყველა ვარჯიშს ესწრება, ბიჭებს ამხნევებს. უზრუნველყოფს კლუბის თითოეული შეხვედრის ორგანიზებას ქალაქის ხელმძღვანელებთან და ჩვენი ინტერესებიც არაერთხელ დაუცვია. რაც შეეხება გუნდს, დღეს უადგილოა იმაზე წუწუნი, რომ მოსამზადებელი პერიოდი გვიან დავიწყეთ. მოკლე დროში ბიჭებმა მაქსიმალურად მოინდომეს და მნიშვნელოვნად აიმაღლეს ფიზიკური კონდიციები. 3 აგვისტოს ცუდი რამ მოხდა, არ მსურდა უშრომელი სამი ქულის აღება, მაგრამ ბუნებრივია, ჩვენმა დასჯამაც გამაწბილა, ამან გუნდზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა, მაგრამ რაც იყო, იყო. „ბათუმთან" მაქსიმალურად მობილიზებულნი ვიქნებით და ჩემპიონატშიც არ შევირცხვენთ თავს.

**ბაატა ძმანტალიანი რუსთავიდან**

**მარიამ ფირცხალაიშვილი, „მილანის" პრეზიდენტი:**

გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვაგროვებთ ფულს და „ვიტ ჯორჯიასთან" საკვირაო მატჩამდე საჭირო რაოდენობასაც მოვუყრით თავს. აღრე ვთქვი, ფედერაციას ჩვენი საარჩევნო ხმის გაქრობის სიამოვნებას არ მივანიჭებ. „მილანი" გადაიხდის ფულს და ითამაშებს ჩემპიონატში. ასეთი ფედერაციისგან კარგს რას უნდა ველოდოთ? თითქოს 11 ათასის შეღავათი მოგვცა და მერე ისიც გადათქვა, ერთბაშად 22 ათასი ლარის გადახდა ჩვენთვის დღესდღეობით დიდი პრობლემაა, მაგრამ როგორმე გადავიტანთ ამ დარტყმას და ჩვენს რეგიონში ფეხბურთის აღორძინებას კვლავაც გავაგრძელებთ.

**ანზორ მამალაძე, „მერანის" პრეზიდენტი:**

სატრანსფერო ოპერაციებიდან მქონდა ფული, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი გუნდია და პირველ რიგში მათთვის ელემენტარული პირობების შექმნაზე ვფიქრობ. ამიტომ ეს თანხა ფეხბურთელების, მწვრთნელების, კლუბის თანამშრომლების ხელფასებს უნდა მოხმარებოდა, ახლა კი იძულებული ვარ, 45 კაცს ლუკმაპურის ფული გამოვაკალო და ფედერაციის სალაროში შევიტანო. „მერანი" ერთსულოვანი კოლექტივია და ყველა გაგებით მოეკიდა შექმნილ სიტუაციას. ხვალ ჩემსას კიდევ ვცდი, შევხვდები ვალერი ჩოლარიას, მაგრამ დიდი იმედი არ მაქვს. ასე თუ ისე, საკვირაოდ „ტორპედოსთან" თამაშის პრობლემა არ იქნება, 22 ათას ლარს თავს მოვუყრით და გუნდიც ითამაშებს ჩემპიონატში.

**ბაატა ძმანტალიანი**



„დინამოსგან" გამოკეტილი ზაზა ზირაქიშვილი „ტორპედომ" გამოიხსნა

# გატორპედოებული ზირაქიშვილი

## დინამოს ჯინი არ მჭირს, მაგრამ გულნატკენი ვარ

*დინამო-ზირაქიშვილის თუ ზირაქიშვილი-დინამოს კონფლიქტზე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ ახალი პერიპეტიებით ნაღდად ვერ გაგაკვირვებთ.*

*თუმც ამ ამბავმა უჩვეული გაგრძელება ჰპოვა, ზაზა ზირაქიშვილი „დინამოს" ყველაზე ხისტ და შმაგ მეტოქე ქუთაისის „ტორპედოში" გადავიდა.*

*მაშ ასე, ინტერვიუ ტორპედოელ ზაზა ზირაქიშვილთან...*

**— ბოლო სამი სეზონია, „ტორპედო" ჩემპიონია, მაგრამ თბილისის „დინამოში" თამაში, ალბათ, მაინც სულ სხვაა. როგორ ფიქრობ, „დინამოდან" „ტორპედოში" გადასვლა შენთვის უკან გადადგმული ნაბიჯია?**

— არ ვიცი, გააჩნია, როგორ მივუდგებით ამ საკითხს. ფინანსურად, სახელითა და ტრადიციებით „დინამო", სჯობია, მაგრამ „ტორპედო" ხომ ბოლო სამი წელია, ჩემპიონობას არავის უთმობს და ამ მხრივ ჩემი „ტორპედოში" გადასვლა წინ გადადგმული ნაბიჯია.

**— „დინამომ" იანვრამდე უსასყიდლოდ გაგიშვა „ტორპედოში", მიუხედავად იმისა, რომ შენში საკომპენსაციო თანხა ეკუთვნის. მაინც გულნატკენი ხარ „დინამოზე"?**

— მაინც გულნატკენი ვარ. კი ბატონო, დისკვალიფიკაცია მომცეს და ხელფასი შემიმცირეს, მაგრამ ელემენტარული შანსიც კი არ დამიტოვეს, ივო შუშაკისთვის თავი მომეწონებინა და მწვრთნელს საქმეში ვენახე.

**— მიგაჩნია, რომ ვიღაცას ხელს არ აძლევდა შენი „დინამოში" ყოფნა?**

— ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ ფაქტია, ვიღაცას ნაღდად არ უნდოდა ჩემი დინამოელობა. როცა დისკვალიფიკაცია მომცეს, მაშინ მაინც ეთქვათ, „დინამოში" შენი კარიერა დასრულდაო. ეს რომ ეთქვათ, მაშინ მეც სხვანაირად მოვიქცეოდი, მაგრამ...

**— მაგრამ მაინცდამაინც ქუთაისის „ტორპედოში" გადახვედი. როგორ ფიქრობ, ამ ნაბიჯის შემდეგ პირნათელი ხარ „დინამოს" ფანებთან?**

— მაინც რატომ არ უნდა ვიყო მათთან პირნათელი?! რა, თავი გავიგიჟო, „დინამოში" არ მინდა და გინდა თუ არა „ტორპედოში" უნდა გადავიდე-მეთქი? ჩემი „ტორპედოში" გადასვლა ვითარებამ მოიტანა, თორემ „დინამოს" ჯინი ნამდვილად არ მჭირს — დამწყები ფეხბურთელი არ ვარ და იქ წავედი, სადაც ნორმალური ფინანსური პირობებია.

**— ქუთაისელი ფანებისგან კი წყენა არ გახსოვს?**

— პირადად ჩემთვის ქუთაისში არ შეუგინებიათ და გინებას არც არავისგან მივიღებ. თუმც „დინამოს" მიმართ მწარე განწყობას კი მართლაც ვგრძნობდი.

**— „ტორპედოს" გულშემატკივრები როგორ შეგხვდნენ?**

— ისინი ბაზაზე ვარჯიშისას მოვიდნენ ჩემთან და თბილად დამელაპარაკნენ, რაც ძალიან სასიამოვნო იყო. ქუთაისში ყველამ ძალიან კარგად მიმიღო, რისი მადლობელიც ვარ.

**— 23 სექტემბერს „ტორპედო" — „დინამოა"...**

— ვერ ვიტყვი იმას, რომ „დინამოს" წინააღმდეგ ორმაგად მონდომებული გავალ მოედანზე, მაგრამ „დინამოსთან" თამაშს თავისი ხიბლი მართლაც აქვს.

**— მხოლოდ ხიბლი? არ გინდა დაამტკიცო, რომ „დინამოდან" გასაშვები არ იყავი?**

— დასამტკიცებელი არავისთან არაფერი მაქვს, მით უმეტეს, საქართველოში. ნებისმიერ შეხვედრაში ჩემს თამაშს ვითამაშებ. მთავარია, ჯანმრთელობამ შემიწყოს ხელი.

**— შარშან ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდი. ახლა როგორ უყურებ საამისო პერსპექტივას?**

— წინასწარ რაიმეს დაგეგმვა არ მიყვარს, მაგრამ თუ მთელი სეზონი დავრჩები „ტორპედოში", ვეცდები, ბომბარდირიც გავხდე და საუკეთესო ფეხბურთელიც.

**— კი მაგრამ, ბოლო სამი შეკრება მიზეზთა გამო სრულფასოვნად რომ არ გაგივლია? თანაც ერთი წელი, ფაქტობრივად, უთამაშებელი იყავი. ჯერ ტრავმა, მერე დისკვალიფიკაცია...**

— ალექსანდრ შტელინის პროგრამით 25 დღე ვვარჯიშობდი და ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ. რაც შეეხება სათამაშო პრაქტიკას, 2-3 მატჩში, ალბათ, ეს პრობლემაც მოგვარდება.

**— „ტორპედოს" სიცაა მალხაზ ასათიანი დატოვებს და, ალბათ, „დინამოში" გადავა. უასათიანოდ „ტორპედოს" საჩემპიონო შანსები კვლავაც მაღალი იქნება?**

— რატომაც არა? ჯერ დავიწყოთ ჩემპიონატი და რამდენიმე ტურის შემდეგ ბევრი რამ გამოჩნდება. „ტორპედო" ძალიან კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ასათიანი წავა და ჩემპიონები ვერ გავხდებითო, ეს ასე არ არის. თუმც ასათიანის წასვლა „ტორპედოსთვის" ძალიან დიდი დანაკლისი იქნება.

**— შენ თუ გჯერა იმის, რომ კარიერაში კიდევ მიაღწევ პირად მნიშვნელოვან წარმატებებს?**

— ამის რომ არ მჯეროდეს, არც ვითამაშებდი. ბურთს მხოლოდ იმიტომ არ დავდევ, რომ ხელფასს მიხდიან, არამედ, იმის გამო, რომ მინდა და მიყვარს ფეხბურთის თამაში.

**დავით თამართქილაძე**

# კორღალიძემ აზერბაიჯანელები ერთმანეთს გადაკიდა

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო აზერბაიჯანში მიმდინარე ოთხგუნდა ტურნირი. ოთარ კორღალიძის შეგირდებმა ირანელ თანატოლებს 2:1 სძლიეს და დღეს აზერბაიჯანელ ცხრამეტწლამდელებს ფინალში შეხვდებიან. თავის მხრივ, საქართველოს ნაკრების დღევანდელმა მეტოქემ ნახევარფინალში ორი წლით უმცროსი თანამემამულეები დაამარცხა. მესამე ადგილისთვის მატჩშიც სწორედ უფროს ძმათაგან დაჩაგრულები დაეჭიდებიან ერთმორწმუნე ირანელებს.

აქვე საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებზეც ვთქვათ. სერგო კუტივაძის გუნდი ლიტვის ქალაქ პალანგაში ყოველწლიურ, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა. ქართველთა გარდა ტურნირში ლიტვის, უკრაინის, რუსეთის, მოლდოვისა და ლატვიის ჩვიდმეტწლამდელებიც მონაწილეობენ. გათამაშება წრიული სისტემითაა, პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები კი ჩემპიონის ბედს ფინალურ მატჩში გაარკვევენ.

სერგო კუტივაძემ პალანგაში ეს ფეხბურთელები წაიყვანა: გოგა იაშვილი, გიორგი ქლენტი, ჯაბა გოგოლაძე, ვახტანგ ბერიძე, ბექა ქლენტი, ჯაბა კანკავა, გოგა ბეჭვაია, მათე ლეინიანიძე, გიორგი ჭელიძე, დავით გიგაური, ილია ქემაშვილი, ლევან გრიგალაშვილი, ნიკოლოზ გავაშელი, კარლო მუკბანიანი, აკაკი ხუბუტია, ზვიად ჯიშკარიანი, ზურაბ ხუციშვილი, თორნიკე დანგაძე, ნიკა გაბლაია, დავით ეჯიბაშვილი, ვასილ უსენაშვილი, ზურაბ ბახტურიძე.

ქართულ დელეგაციას ლიტვაში სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის წარმომადგენელი ბადრი ქარქაშაძე ხელმძღვანელობს.

**კახა ზალამბერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დამპალი ევრონალდო
## მილანი ერთგულების ქალაქია



რივალდომ „მილანის" ერთგულებისა მოიჭნია

**დღეს** შაბათია, მთავრდება კვირა, როდესაც იტალიაში, უფრო ზუსტად კი მილანში, ორი ბრაზილიელი R ჩავიდა — რონალდო და რივალდო, რომელთაც იქაურებმა განსხვავებული დახვედრა მოუწყვეს.

დავიწყოთ სასიამოვნო დახვედრით: „ბარსელონასგან" ბედის ანაბარად მიტოვებულ რივალდოს, როგორც მოსალოდნელი იყო, მსურველი დაუყოვნებლივ გამოუჩნდა. რამდენიმე ევროპული გუნდი ლამობდა მსოფლიოს ჩემპიონის გროშ-კაპიკის გადაუხდელად ხელში ჩაგდებას, რომელთაგან თავად ვარსკვლავმა „მილანი" არჩია და ამ ქალაქის აეროპორტში ჩასულს დახვდა კიდეც ქომაგებისა და რეპორტიორების ურიცხვი ლაშქარი. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბრაზილიელს ასეთი შეკითხვა დაუსვა:

„თქვენ გუნდებისადმი ერთგულებითა და თავდადებით ხართ ცნობილი. „მილანშიც" ხომ იგივეს აპირებთ?"

ამ კითხვაში, თუ დავუკვირდებით, რივალდოსთვის კოჭის გაგორებას დავინახავთ. საქმე ის არის, რომ „ბარსელონამ" ფეხბურთელთან გაყრის წინ სწორედ მის თავდადებასა და ერთგულებაში შეიტანა ეჭვი. კატალონიელთა ჰოლანდიელი მწვრთნელი, ლუის ვან გაალი პირდაპირ ამბობდა, რივალდო ბრაზილიის ნაკრებში და რივალდო კლუბში ორი სხვადასხვა კაციაო.

როდესაც მილანში ჩასული ფეხბურთელი სასტუმროს დარბაზში პრესკონფერენციაზე მიაქროლეს, გარეთ, კლუბის შავ-წითელი შარფებით შეიარაღებული გულშემატკივრები ხარობდნენ. 30 წლის მოთამაშემ საგანგებო მადლობა იტალიის პრემიერ-მინისტრს, სილვიო ბერლუსკონის გადაუხადა, ის რომ არა, ვინ იცის „მილანში" გადმოსვლა-არგადმოსვლაზე ფიქრიც კი გამევლოო. ერთი სიტყვით, საერთო სიხარულში, ალბათ, მხოლოდ რომის პაპს არ მიუღია მონაწილეობა, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი ისე იყო, დიდ შოუბიზნესს რომ სჭირდება.

ამასობაში, იმავე ქალაქში, ოღონდ სხვა გუნდში, „ინტერში"...

რონალდოს ნათქვამმა, მადრიდის „რეალთან" საქმე გამიჩარხეს, და აბა, ჩემო მილანო, სულ კარგად მეყოლეო, უამრავი ადამიანი გააცოფა. აეროპორტში ვარსკვლავს პოლიცია შეეგება და სახლამდე სულ თვალების ცეცებით მიაცილა, ხალხს კი პლაკატები აღემართა: „წადი აქედან, დამპალო!"

უცხოელ, განსაკუთრებით, სააგენტო „როიტერის" ჟურნალისტებს ძალიან უყვართ ქუჩის ინტერვიუების აღება. ცხადია, ასეთ შანსს ხელიდან არავინ გაუშვებდა და როგორც ამ სააგენტოს ცნობაში წერია, მავანმა პატრიციამ, რომელიც, ჩვენი აზრით, სადღაც მუშაობს ან სწავლობს, რაღაცას ჭამს, სვამს და გვარიც ექნება, განაცხადა, ეგ რონალდო ძალიან მიყვარდა, მაგრამ ძალიან შემძაგდაო.

თურმე ერთ-ერთი იტალიური გაზეთის პირველ გვერდზე კარიკატურა იყო: რონალდოს თავზე ევროს ბანკნოტი ახატია, ქვეშ კი წერია: დაგვიბრუნდით. თქვენი ევრონალდო.

ასეთი გაცოფება კი „ინტერის" ქომაგთა შორის აი, რამ გამოიწვია: მოგეხსენებათ, ბრაზილიელი ვარსკვლავი 1998 წელს ისე დაშავდა, რომ ბევრმა მის სამუდამოდ ხეიბრად დარჩენაზე დაიწყო ლაპარაკი. რონალდომ ოპერაცია გაიკეთა, ერთი წლის მერე თავი თითქოს ჯანმრთელად იგრძნო და მოედანს დაუბრუნდა, მაგრამ სულ რამდენიმე წუთით. არავინ შეხებია, ისე დაშავდა ხელმეორედ და ისევ ერთი წლით ჩამოშორდა სარბიელს. ერთი სიტყვით, მთელი ორი წლის მანძილზე რონალდოს ფეხბურთი არ უთამაშია, მხოლოდ ხელფასს იღებდა (ცხადია, დიდძალს) და „ინტერის" ხელმძღვანელთაგან თუ ქომაგთაგან მხარდაჭერას გრძნობდა. საბოლოოდ ცუდმა დროებამ ჩაიარა, ფეხბურთელმა წინა სეზონში, „ინტერის" შემადგენლობაში ერთი-ორჯერ გააგორა ბურთი, მოყოჩაღდა, მსოფლიოს ჩემპიონატს დასვენებული შეხვდა, ტიტული მოიპოვა და მილანელებს შეუთვალა, ახლა „რეალში" მივდივარო. მერე კი გადათქვა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ისევ როიტერისეული ქუჩის ინტერვიუები:

„მისგან ახსნა-განმარტებას ველით. სამი წლის განმავლობაში ვანებივრებდით. ეყოფა!"

„უნდა ეყოს ვაჟკაცობა, გამოვიდეს და გველაპარაკოს."

რონალდო „ინტერის" პრეზიდენტმა, მასიმო მარატიმ 1997 წელს „ბარსელონასგან" 27,9 მილიონ დოლარად იყიდა. მაშინ პრეზიდენტი ამბობდა, ჩემი კლუბი ამიერიდან მის გარეშე წარმოუდგენელია და ტრანსფერზე საუბარს მხოლოდ 100 მილიონი დოლარის შემოთავაზების შემთხვევაში დავიწყებო. ბოლო დღეებში მომხდარის შემდეგ, მორატიმ პირადად ისურვა ფეხბურთელთან დალაპარაკება და დაურეკა.

„ჩვენ ერთმანეთს ვუთხარით, რომ სიყვარული სიძულვილში არ უნდა გადაგვეზარდოს. რონალდო მუშაობას განაგრძობს და ყველა ღონეს იხმარს, გულშემატკივრებს კარგი თამაშით რომ აამოს" — განაცხადა სატელეფონო საუბრის შემდეგ პრეზიდენტმა.

**ბაჩუნა ძიძია**



რონალდო ბრაზილიელ ბავშვებს ძველებურად უყვართ, მილანელებისა, რა მოგახსენოთ...



რომაელებმა ალესანდრო ნესტას (№13) მოგზაურობა აუკრძალეს

# კანავაროს ნესტა ლაციოში დატოვა

**ალესანდრო ნესტა**, ერნან კრესპო და კლაუდიო ლოპესი „ლაციოდან" არსად მიდიან. რომაული კლუბის პრეზიდენტმა, სერჯო კრანიოტიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პარმელი ფაბიო კანავაროს „ინტერში" გადასვლამ მთელ სატრანსფერო კომბინაციას წერტილი დაუსვა.

„კანავაროს დამატებით „ინტერი" ძალიან ძლიერ გუნდად იქცა, მაგრამ ჩვენ, „ლაციოში" ცენტრალური მცველი კანავაროზე ძლიერი გვყავს და მის გაშვებას არ ვაპირებთ. რაც შეეხებათ არგენტინელებს, კრესპოსა და ლოპესს, მათ შესახებ ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს. ხოლო ახალი მოთამაშეების ყიდვას არ ვაპირებთ, საამისოდ ფული არ გვაქვს. „ლაციოს" განაცხადში 29 ფეხბურთელია და რამენაირად ვიმყოფინებთ" — ბრძანა კრანიოტიმ.

გეხსომებათ, „ლაციომ" კრესპო 2000 წელს 54,1 მილიონ დოლარად იყიდა და იმხანად ეს რეკორდი იყო.

რაც შეეხება ნესტას, იგი „ინტერს" უნდოდა და „ლაციოსთან" რამდენიმე თვე აწარმოებდა კიდეც მოლაპარაკებებს, მაგრამ, მოგეხსენებათ, იტალიაში ფინანსური კრიზისია და ამიტომ ყიდვა-გაყიდვის საშუალებები ერთობ შეიზღუდა. შედეგად, ნესტას ტრანსფერი ჩაიშალა. „ინტერმა" კი „პარმასგან" ფაბიო კანავარო იყიდა.

**ბაჩუნა ძიძია**

## საფრანგეთი
### I დივიზიონი
### II ტური

**ოსერი 2:0 მონპელიე**

10 ჯ. სისე (72), 2:0 მვარუვარი (89)
გაძევება: ბამოგო (მონპელიე 66)

**ბორდო — პსჟ**

წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მეორე გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ბორდო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ნანტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ოსერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ლე ავრი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| პსჟ | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მონპელიე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| გენგამი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| ლიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| სტრასბური | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლანსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბასტია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აიაჩო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სედანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სოშო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ნიცა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| რენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მარსელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლილი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ტრუა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

## ფინეთი

მე-18 ტური: ჰაკა — იარო 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 18 | 11 | 3 | 4 | 30:16 | 36 |
| ჰაკა | 17 | 10 | 3 | 4 | 26:14 | 33 |
| მიუპა | 18 | 8 | 7 | 3 | 34:18 | 31 |
| ალიანსი | 18 | 9 | 4 | 5 | 28:26 | 31 |
| ინტერი | 18 | 8 | 6 | 4 | 28:14 | 30 |
| ლაჰტი | 18 | 7 | 4 | 7 | 18:22 | 25 |
| ტამპერე | 17 | 5 | 9 | 3 | 16:12 | 24 |
| იარო | 18 | 5 | 5 | 8 | 16:26 | 20 |
| კუოპიო | 17 | 4 | 5 | 8 | 24:26 | 17 |
| ჯაზი | 18 | 4 | 3 | 11 | 14:34 | 15 |
| ჰამენლინა | 17 | 2 | 8 | 7 | 19:26 | 14 |
| ვაასა | 18 | 2 | 5 | 11 | 14:33 | 11 |

## შვედეთი

მე-14 ტური: აიკ — ოურგორილენი 0:3; ჰალმსტადი — ელფსბორგი 0:1; გიოტებორგი — სუნდსვალი 0:0; ლანდსკრონა — ოირებრო 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოირგრიტე | 14 | 8 | 5 | 1 | 29:19 | 29 |
| მალმიო | 14 | 9 | 0 | 5 | 30:18 | 27 |
| იურგორდენი | 14 | 7 | 4 | 3 | 23:15 | 25 |
| ლანდსკრონა | 14 | 6 | 4 | 4 | 30:21 | 22 |
| ოირებრო | 14 | 6 | 4 | 4 | 17:19 | 22 |
| გიოტებორგი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:18 | 20 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:18 | 19 |
| ელფსბორგი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:19 | 17 |
| სუნდსვალი | 14 | 3 | 7 | 4 | 12:13 | 16 |
| აიკ | 14 | 3 | 6 | 5 | 20:24 | 15 |
| ჰამარბი | 13 | 3 | 4 | 6 | 22:25 | 13 |
| კალმარი | 14 | 3 | 4 | 7 | 8:16 | 13 |
| ჰალმსტადი | 14 | 1 | 8 | 5 | 10:15 | 11 |
| ნორჩიოპინგი | 14 | 2 | 5 | 7 | 12:18 | 11 |


# იყიდება

ვაკეში, ჯიქიძეზე
ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის
ტიპის ბინა
ტ: 29-13-75; 899 11-64-46



# მუამარ, გვიყიდე!

## სალონიკმა კადაფის პაოკი შესთავაზა

**ადრეც გაუწყეთ**, რომ ბერძნულ კლუბს, სალონიკის „პაოკს", ფინანსური გაჭირვების ჟამი უდგას და მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ლიბიის ლიდერს, მუამარ კადაფის, უფრო ზუსტად კი „ლიბიელ არაბთა უცხოეთის საინვესტიციო კომპანიას" სთხოვს დახმარებას. ამ კომპანიას სათავეში მუამარ კადაფის ვაჟი ალ საადი უდგას.

ხსენებულ ისტორიაში სიახლე ის გახლავთ, რომ ხმა „პაოკის" ქომაგებმაც ამოიღეს. მათ კოლექტიური წერილი დაწერეს და ათენში მდებარე ლიბიის საელჩოში მიიტანეს, ოღონდ, როგორც ირკვევა, ქომაგების სურვილი კლუბის ხელმძღვანელობის სურვილისგან განსხვავდება. კერძოდ, კლუბის პატრონებს კადაფისგან „პაოკის" აქციათა ნაწილის ყიდვა ანუ ფულის შემოტანა სურთ, გულშემატკივრებს კი დღევანდელ პატრონთა, კერძოდ, გეორგეოს ბატატუდისის თავიდან მოშორება და ყველაფრის არაბებისთვის გადაბარგება ამოუჭრიათ გულში. წერილის ტექსტიდან ჩვენთვის მხოლოდ ნაწილია ცნობილი. ამ ნაწილში სალონიკელები ახალი რევოლუციის ლიდერს ჩრდილოეთში ფესვების გადგმას სთხოვენ და ბოლოს, უფალო შეგვიწყალე და ღმერთს უწოდებენ, გვედრებით, „პაოკი" იყიდეთო.



მუამარ კადაფი

„პაოკი" 1926 წელს დაარსდა. მისი დამაარსებლები, 20-იან წლებში სტამბოლიდან გამოდევნილი ბერძნები იყვნენ. მაშინ თურქეთს ოტომანთა მუსლიმანური იმპერია ერქვა.

კადაფის გზა კლუბის დღევანდელ პატრონს, ბატატუდისს, იტალიურმა „იუვენტუსმა" მიასწავლა. საქმე ის არის, რომ ბატატუდისს ტურინელებთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, კლუბები თანამშრომლობენ და ერთმანეთს დახმარების ხელს უწვდიან, ხოლო ზემოხსენებულ არაბულ საინვესტიციო კომპანიას „იუვენტუსის" აქციათა 7,5 პროცენტი უპყრია.

აღსანიშნავია, რომ „პაოკი" მართალია, მხოლოდ ორჯერ იყო საბერძნეთის ჩემპიონი, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის უსაყვარლესი კლუბია. პირეოსის „ოლიმპიაკოსი" „პაოკს" ერთადერთი მაჩვენებლით, ქომაგთა ტემპერამენტით სჯობს.

„პაოკი" ამ სეზონში უეფას თასზე გამოდის, ბატატუდისი კი 25 აგვისტოს ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში ჩასვლას გეგმავს. რატომ 25-ში? იმიტომ, რომ ამ დღეს ტრიპოლიში იტალიის სუპერთასის მატჩი, „იუვენტუსისა" და „პარმას" შეხვედრა შედგება.

**ბაჩუნა ძიძია**

# ფიგუ პორტუგალიას დაემუქრა

## ოქროს თაობა დაკარგულ თაობად იქცა

**პორტუგალიამ** კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე 2000 წლის ევროპის პირველობაზე ნახევარფინალში გასული შემადგენლობა ჩაიყვანა. აზიაში კი რაც მოხდა, თავადაც ნახავდით. „ევროპელი ბრაზილიელები", რომელთაც ზოგიერთი (მაგალითად, პელე) ფავორიტთა შორისაც კი მოიხსენიებდნენ, ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ და შინ შერცხვენილები დაბრუნდნენ.

სამშობლოში „ოქროს თაობად" შერაცხულ ლუიშ ფიგუსა და კომპანიას გვარიანი ლანძღვა-გინებით შეხვდნენ. ასეთ დამოკიდებულებას შეუჩვეველმა ფიგუმ კი სახალხოდ განაცხადა, თუ არ გინდივართ, ნაკრებიდან წავალო.

„პრობლემა არ არის, თუ ხალხს ყველაფერში დამნაშავე მე ვგონივარ, ნაკრებს დავტოვებ. მართალია, წასვლა არ მინდა და ეროვნული გუნდისთვის სარგებლის მოტანა ჯერაც შემიძლია, მაგრამ თუ უნდობლობას გამომიცხადებენ, ნაკრებში დარჩენას აზრი ეკარგება" — განუცხადა გულადულებულმა ფიგუმ ადგილობრივ ჟურნალისტებს.

სხვათა შორის, ნაკრები უკვე დატოვა ჟორჟე კოშტამ — ფიგუსა და ჟოაუ პინტუს „ოქროს თაობის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. თავად ფიგუს აზრით კი, მის თაობას თავისი სიტყვა ჯერაც არ უთქვამს და ამის გაკეთებას პორტუგალიაში გასამართ ევრო 2004-ზე შეეცდება.

**სერგი ტორიძე**



„გალათასარაის" კაპიტანმა ბიულენთმა (მარჯვნივ) შარშან თანაგუნდელები საჩემპიონო ზეიმზე გაიყვანა

# პროვინცია განზე რჩება

## მუნდიალშეყრილი თურქეთი ძველი ფავორიტებით და ახალი სიმკაცრით იწყებს

**მსოფლიოს ჩემპიონატის** შემდეგ ამბიციამომატებულმა თურქებმა გუშინ ჩემპიონატი დაიწყეს, პირველი ტურის ძირითადი მატჩები კი დღეს გაიმართება.

ოსმალოთა სამშობლოში ფეხბურთის ბუმია და თურქებიც თავიანთი კლუბებისგან იმდენს ან თითქმის იმდენს ითხოვენ, რასაც ნაკრებისგან. ჩემპიონატს კი, როგორც ყოველთვის, სამი ფავორიტი ჰყავს. სამივე სტამბოლს სახლობს — ლომთა ლომი „გალათასარაი", ყველაზე ხნიერი თურქული კლუბი „ბეშიქთაში" და ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერის ავტორი „ფენერბაჰჩე".

ლომთა ლომით დავიწყოთ. ბოლო ექვს სეზონში ჩემპიონატის ხუთჯერ მომგებ გუნდში ახალი ის არის, რომ მის მწვრთნელად იტალიამოვლილი ფათიჰ თერიმი დაბრუნდა, რუმინელი მირჩა ლუჩესკუ კი თანაქალაქელ „ბეშიქთაშში" გადაბარგდა და თავისი უკვე ყოფილი კლუბის გამწარებას იქიდან შეეცდება.

„გალათასარაიში" რჩება ჰასან შაში. იტალიიდან დავალა უმითიც დაბრუნდა, ასე რომ, „გალას" საჩემპიონო პრეტენზიები კვლავაც ძალაშია.

ამბიციები მოემატა „ბეშიქთაშსაც". ზემოთ ნახსენებმა მირჩა ლუჩესკუს გუნდში სერგენ იალჩინი და პასკალ ნუმა დააბრუნა. რამდენად გამოადგება ეს ორი, გვარიანად რთული ხასიათის ნახევარმცველი ლუჩესკუს, ჯერ კიდევ საკითხავია. მაგალითად, პასკალ ნუმამ კლუბში ნევიო სკალას მუშაობის პერიოდში იტალიელს ორჯერ ესროლა მობილური ტელეფონი. სერგენიც ფხუკიან და თავისნათქვამა კაცად არის ცნობილი.

სტამბოლის აზიურ ნაწილში მობინადრე „ფენერბაჰჩე" არიელ ორტეგას ყიდვით იწონებს თავს. მწვრთნელ ვერნერ ლორანტის თქმით, ორტეგა სწორედ ის ძალაა, რომელსაც „ფენერისთვის" ჩემპიონობის მოტანა შეუძლია.

სტამბოლის გარეთ მყოფთაგან საუკეთესოდ, ტრადიციულად, „ტრაბზონსფორი" ითვლებოდა, თუმცა ოდესღაც „ქართულმა" კლუბმა წინა სეზონი მე-14 ადგილზე ჩაამთავრა და ახალ სეზონში სამეთ აუბაბა უთავკაცებს.

დედაქალაქ ანკარას ორი კლუბი — „ანკარაგუჯუ" და „გენჩერბირლიგი" საშინაო გუნდებად ითვლებიან. მათ საკუთარ კედლებში თვით ლიდერების წამოქცევაც ხელეწიფებათ, თუმცა საჩემპიონო ჭიდილს ვერც ანკარის გუნდები შეძლებენ და ვერც ტრაბზონელები. თურქი სპეციალისტ-ჟურნალისტების აზრით, ყველაფერი ისევ სტამბოლურ სამეულში გაირკვევა.

ახლა პრობლემებზეც ვთქვათ. თურქული ფეხბურთისთვის ერთ-ერთი ურჩხელი თავის ტკივილი გულშემატკივართა ტრიბუნებსა თუ მათ გარეთ ჩადენილი სიგიჟეებია. სტამბოლური სამეულის, ფეხბურთის ფედერაციისა და ყველა დანარჩენი კლუბების შეთანხმებით, ამიერიდან ხულიგნობასთან ბრძოლა გამკაცრდება. სტუმარ გულშემატკივრებს, ისევე როგორც ევროპაში, სპეციალური ავტობუსებით, ესკორტის თანხლებით გააცილებენ. გამკაცრდება უსაფრთხოების სისტემებიც. სტადიონზე ინციდენტის შემთხვევაში კლუბები ქულების დაკლებითაც დაისჯებიან და ცარიელი ტრიბუნების წინაშეც მოუწევთ თამაში. გამოსწორდება (ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ) მსაჯობაც. დანარჩენი კლუბების აზრით, თურქი არბიტრები ხშირად იჩენენ სიმპათიას „ფენერბაჰჩეს", „გალათასარაისა" და „ბეშიქთაშის" მიმართ.

უმთავრესი პრობლემა კი ეკონომიკური კრიზისია. დღესდღეობით მძვინვარე ინფლაციამ თურქული კლუბების უმეტესობა მძიმე დღეში ჩააგდო. ქვეყანას ასეთი ჩავარდნა 1945 წლის შემდეგ არ ჰქონია. ფეხბურთის ფედერაციამ დიდი ვაჭრობის შემდეგ ჩემპიონატის ჩვენების უფლება ადგილობრივ „დიჯითურქს" მიჰყიდა.

**სერგი ტორიძე**



„გალას" ბრაზილიელმა კაპონემ თანაგუნდელი და თანამემამულე ბატისტა გაიჰენა


24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე
ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკაცრი, ბედნიერი და სექსუალური

## ოლივერ კანი: ბუნდესლიგაში ისევ დამისტვენენ

*მიუნხენის ქუჩებში წითელი ფერარი დაჰქრის, მის სანომრე ადგილას სამი ნიშანია გამოსახული: OK1. იყო დრო, მის მფლობელს ხალხი შურით უცქერდა და ასეთი მანქანით სიარულისთვის აკრიტიკებდა კიდეც. ის კი უდარდელად პასუხობდა: „არავის საქმე არაა, რა მანქანით ვივლი. ახლა იმაზე ვფიქრობ, ეს ხომ არ გამეყიდა და ყვითელი ფერის შემეძინა?"*

*დღეს აღარავინ კითხულობს, რატომ დაჰქრის ეს კაცი ამ მანქანით და ამ ნომრით, რადგან დღეს იგი უკვე ყველას უყვარს.*

*წლევანდელი ზაფხულის გმირი და ანტიგმირი — ისე, გააჩნია ვისთვის ანტიგმირი. გერმანელები მასზე საუბრისას ანტის არ ახსენებენ, რადგან იგი ოლივერ კანია. ავტომანქანის ნომრებადაც სწორედ თავისი ინიციალები აქვს აღებული. ინიციალებიანი ნომრებით გერმანიაში სხვა ვერავინ დადის — ამით ყველაფერია ნათქვამი.*

*წითელი ფერარი „ბაიერნის" ბაზაზე „შეფრინდა". იქიდან ტიტანი გადმოვიდა, სათვალე მოიხსნა, კევის ღეჭვით ნაცნობ-მეგობრებს მიესალმა. მერე იქვე კიდევ ერთი ნაცნობი შენიშნა, ყველას მოუბოდიშა, გვერდზე გაიხმო და უთხრა, დავიწყოთ. და დაიწყო.*

*დაიწყო ინტერვიუ, რომელიც ოლივერ კანმა „ბილდ ამ ზონტაგს" მისცა, პირველი ინტერვიუ მსოფლიოს ჩემპიონატის და მისი კოშმარული ფინალის შემდეგ.*




**— ოლი კანი კევის გარეშე უკვე წარმოუდგენელია...**

— ყველაფერი ერთი შემთხვევით დაიწყო. აღარ მახსოვს რა თამაში იყო, კარგად ჩავატარე, რამდენიმე ძნელი ბურთი მოვიგერიე, სახლში მისულმა აღმოვაჩინე, რომ იმ დილას ჩადებული კევი ისევ პირში მედო. მას მერე დავმეგობრდით მე და კევი. ხანდახან ისეც ხდება-ხოლმე, რომ საღამოს სახლში მისულილა ვგრძნობ, რომ დილით ჩემი პატარა ქალიშვილის მოცემულ კევს ისევ ვღეჭავ, არადა, იმ დღეს ათასი რამ გადამხდენია თავს. უკვე ყველა შეეჩვია, მათ შორის ჩემი მეუღლეც. მთავარია, ღეჭვისას ერთი პირობა შევასრულო: პირი დახურული უნდა მქონდეს.

**— ბევრს დღემდე ვერ აუხსნია, რა დაგემართათ ბრაზილიასთან ფინალურ მატჩში, როცა რივალდოს დარტყმული ბურთი ხელიდან გაგივარდათ, მანამდე ხომ შეუდარებელი იყავით?**

— ასი მსგავსი დარტყმულიდან 99-ში ბურთს ხელში დავიჭერდი. სამწუხაროა, რომ ის ერთადერთი ბურთი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გამივარდა ხელიდან, ეს ცხადია, ძალიან მაბრაზებს, მაგრამ უნდა დავივიწყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გავგიჟდე. საერთოდაც, მსოფლიოს ჩემპიონატის გახსენებისას ვცდილობ, მაგ მომენტზე კი არა, მთლიანად ჩვენი გუნდის გამოსვლაზე ვიფიქრო, ამ ნაკრებმა ხომ უდიდესი შედეგი აჩვენა და მთელი ქვეყანა ეიფორიაში ჩააგდო. ფრანკფურტში დაბრუნებულებს, ქომაგები ისე შეგვხვდნენ, თავი ჩემპიონი მეგონა.

**— ის მომენტი უნდა დავივიწყოო, ამბობთ. ნუთუ ასე ადვილია?**

— მე ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიმწარე უკვე გადავიტანე და დავივიწყე. 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალზე მოგახსენებთ, როცა 90 წუთის მერე 1:0-ს ვიგებდით, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ სამ წუთში ორი ბურთი გავუშვით. ნურავის ჰგონია, რომ ერთი გაშვებული ბურთი გამტეხს. საერთოდ, ვინც დიდი წარმატებების მოსაპოვებლადაა შემართული, უნდა იცოდეს, რომ გამარჯვების გარდა ცხოვრებაში მარცხიც არსებობს. ბრაზილიასთან წაგებულმა ფინალმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამიჩინა მოტივაცია, ამიტომაც ფეხბურთიდან კიდევ სულ მცირე ოთხი წელი არ წავალ.

**— ფინალში მიღებული ტრავმა მთლიანად მოირჩინეთ?**

— რაც მთავარია, ტკივილი აღარ მაწუხებს, თუმცა ბოლომდე არ მომშუშებია. ამიტომაც პირველ მატჩებში ნეკათითის არათითზე მიკვრა მომიწევს.

**— რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის ტიტული?**

— ეს არაჩვეულებრივად ამაყს მხდის, რადგან აქამდე ეს ტიტული მეკარეს არასოდეს რგებია, თუმცა ჩემი ასეთი აღიარება იმის ბრალიცაა, რომ ჩემს უკან დიდი გუნდი იდგა.

**— და უცებ ოლივერ კანი მთელმა გერმანიამ შეიყვარა...**

— ეს ერთი მხრივ, მშვენიერია, მაგრამ მე სათამაშოდ და საბრძოლველად რომ განვეწყო, უარყოფითი დამოკიდებულება მჭირდება.

**— მოწინააღმდეგე გუნდის ქომაგები რომ გისტვენენ, ეს ძალას გმატებთ?**

— გულშემატკივრებს ზოგადად რომ ვუყვარვარ, ეს ბუნდესლიგაში არაფერს ნიშნავს. გერმანიის ჩემპიონატის მატჩებში მე „ბაიერნის" მეკარე ვარ და არა ბუნდესნაკრების, ამიტომაც მოწინააღმდეგეთა ფანებისგან იგივე დამოკიდებულებას ველი, რასაც აქამდე ვგრძნობდი.

**— წლეულს თქვენს გუნდს ზე რობერტო, ბალაკი და დაისლერი შეემატნენ. ბევრი თვლის, რომ ეს ფეხბურთელები სადღეისოდ ბუნდესლიგაში საუკეთესონი არიან. იზიარებთ ამ აზრს?**

— მე იგივე 1995 წელსაც მესმოდა, როცა „ბაიერნში" კლინსმანი, ჰერცოგი და სფორცა მოვიდნენ, თუმცა ჩემპიონი იმ წელს სხვა გუნდი გახდა.

**— მიუხედავად ამისა, თქვენგან ყველა ჩემპიონობას ელის...**

— ეს კითხვა მე უკვე ნაკლებად მაღელვებს. ჩვენგან ყოველთვის პირველობას ელიან. ასეც უნდა იყოს, ჩემპიონები ჩვენ უნდა გავხდეთ, „ბაიერნისთვის" ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია.

**— კლუბის უფროსობა შედეგის გარდა, ლამაზი ფეხბურთის თამაშსაც გთხოვთ...**

— მიმზიდველი და სანახაობრივი ფეხბურთის ჩვენება „ბაიერნის" მიზანი ყოველთვის უნდა იყოს, თუმც მე ამაში დიდ წვლილს ვერ შევიტან, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეკარე ვარ. ამიტომაც, რაღა დაგიმალოთ და, მირჩევნია, ყოველ თამაშში 5 ძნელი ბურთი მოვიგერიო და 1:0 მოვიგოთ, ვიდრე, ვთქვათ, ლამაზ შეხვედრაში 4:2 გავიმარჯვოთ.

**— ბოლო დროს ბევრს წერენ, რომ მეუღლესთან პრობლემები გაქვთ და გაყრასაც აპირებთ.**

— მსგავსი ჭორები ოდნავადაც არ მაღელვებს. რაც მთავარია, მე და ჩემმა ცოლმა მშვენივრად ვიცით, რომ ჩვენს ურთიერთობაში ყველაფერი მშვენივრადაა. ამიტომაც ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევთ. ამაზე არც კი ვსაუბრობთ ხოლმე.

**— როგორი მამაა ოლი კანი?**

— მკაცრი. ბავშვისთვის ტელევიზორის ყურება საერთოდ აკრძალული მაქვს. მულტფილმების ყურება ვიდეოკასეტებითაც შეიძლება. ისე, არ მინდა, ასეთი მკაცრი მამის როლი ვითამაშო, ჩემს პატარას ხომ დღეში ისედაც ორი-სამი საათი თუ ვხედავ. ახლა შვებულებაში რომ ვიყავი, კარგად ვიჯერეთ გული, ყოველდღე სამი საათი აუზში ვიყავით.

**— თქვენს ვარცხნილობაზეც გვითხარით, როდის გადაწყვიტეთ ბექემისთვის მიგებაძათ?**

— ჩემს ვარცხნილობას ბექემთან საერთო არაფერი აქვს. უბრალოდ ერთხელ ღამე რომ მეძინა, ბალიშზე თავი ცუდად მედო, დილით რომ გავიღვიძე და სარკეში ჩავიხედე, თმები რაღაცნაირად მქონდა, მაგრამ ძალიან მომეწონა და ისე დატოვება გადავწყვიტე. ახლა ერთს მარცხენა მხარეს ჩამოვივარცხნიხოლმე ფენით, ერთსაც მარჯვნივ, ცოტა ჟელესაც წავისვამ და მზად ვარ. ყველაზე სწრაფი და მარტივი ვარცხნილობაა ამქვეყნად.

**— თქვენი ახალი ჩაცმულობის სტილის უკან ვინღა იმალება?**

— ძალიან მსიამოვნებს, როცა მოდურ სამოსს ვყიდულობ. საყიდლებზე ყოველთვის თავად დავდივარ და თანაც მარტო. აბა, ჩემი მეუღლე რომ გავიყოლო, სამის ნაცვლად ექვსი საათი დამჭირდება.

**— ბოლო დროს სექს-სიმბოლოდაც გნათლავენ...**

— მიხარია, რომ თანდათანობით ჩემში მარტო მეკარეს აღარ ხედავენ.

**— ბუნდესტაგის არჩევნები ახლოვდება, მასში თუ მიიღებთ მონაწილეობას?**

— რა თქმა უნდა. იმასაც გეტყვით, რომ საბოლოო არჩევანში გადამწყვეტ მნიშვნელობას თავად პიროვნებას ვანიჭებ და არა მის პარტიულობას. ისე, ვის მივცემ ხმას ჯერ არ გადამიწყვეტია.

**— რა არის თქვენთვის ბედნიერება?**

— რაიმე ტიტულის მოპოვება ჩემთვის ბედნიერებას ნამდვილად არ ნიშნავს, ეს მხოლოდ კმაყოფილს მტოვებს. ბედნიერად თავს მაშინ ვგრძნობ, როცა პატარა ბიჭუნას „ბაიერნის" მაისურა აცვია, ზურგზე კანი აწერია და ავტოგრაფს მთხოვს. რა არის ამაზე ლამაზი და მშვენიერი ცხოვრებაში?

**თარგმნა მანო ოქროპირიძემ**



ოლივერ და სიმონე კანებმა სარდინიაზე, პორტო კერვოში კარგად დაისვენეს



ოლივერს ყველაფერი კარგი აქვს:
DOLCE & GABANA-ს პერანგი და 7000 ევროიანი შვეიცარიული საათი

# გერმანიის ბუნდესლიგა 2002–2003

*გუშინ ბუნდესლიგის პირველობა ჩემპიონ „დორტმუნდისა" და ბერლინური „ჰერტას" შერკინებით გაიხსნა. რა მოხდა მანამდე გერმანულ ფეხბურთში? გამორჩეული ბევრიც არაფერი. ხმაურიანი ტრანსფერები არ ყოფილა და თუ ვინმე ამ ამბავში მძლავრობდა, ისევ და ისევ „ბაიერნი". მიუნხენელებმა ფინანსური სამართებლით მთავარი კონკურენტი „ლევერკუზენი" დაკოდეა და ხერხემალი გამოაცალა — მიხაელ ბალაკი და ზე რობერტო წლეულს უკვე ბავარიული გუნდის ღირსებას დაიცავენ.*

*გერმანულ საკლუბო ფეხბურთში კი დუხჭირი დროება დამდგარა. ადრეც გაცნობეთ, რომ „კირხის ჯგუფი", რომელსაც ბუნდესლიგის მატჩების ტელეტრანსლაციის ექსკლუზიური უფლება ეკუთვნოდა, გაკოტრდა. ეს ერთი მიზეზია გერმანული საკლუბო ფეხბურთის არცთუ მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობისა. დანარჩენს კი მცირედი ინფორმაციიდან შეიტყობთ, რომელსაც ქვემოთ მოგანვდით.*

*და კიდევ, ბუნდესლიგა უქართველებოდაა დარჩენილი.*

## ბუნდესცხოვრება უქართველებოდაც კარგია



„ბაიერნმა" სეზონისწინა პრეზენტაციაზე ძაღლიც წარადგინა

### დორტმუნდი (1)

მათიას ზამერის შეგირდებმა შარშან ლევერკუზენის „ბაიერს" ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს, მიუნხენის „ბაიერნსაც" აჯობეს.

ვინ არის წლეულს ფავორიტი? ამ კითხვაზე ზამერი ცალსახა პასუხს გაურბის და ამბობს, რომ შანსი რამდენიმე გუნდს აქვს: „რა თქმა უნდა, „დორტმუნდი" შეეცდება, დაიცვას ჩემპიონის ტიტული, თუმც მის გარდა სხვა ფავორიტებიც არიან. ჩვენ შარშან უეფას თასის ფინალს ვუწიეთ, ამიტომაც შიდა ჩემპიონატის გარდა, ევროპულ სარბიელზეც გვაქვს ინტერესები. ჩემპიონთა ლიგის თამაშებს უმთავრეს ყურადღებას დავუთმობთ."

წლევანდელი სეზონისთვის გუნდმა ორი მნიშვნელოვანი ტრანსფერი გააზერხა: „ვერდერიდან" ტორსტენ ფრინგსი გადაიბირა და მასში რვა მილიონნახევარი ევრო გადაიხადა, არგენტინელი ხუან რამონ ფერნანდესი კი მილიონ ექვსასი ათასი დაუჯდა. თუმცა გუნდში დანაკლისიცაა — ოცდათექვსმეტი წლის ვეტერანმა მცველმა იურგენ კოლერმა ბუცები კედელზე დაკიდა.

**პროგნოზი: მეორე ადგილი**

### ლევერკუზენი (2)

„ლევერკუზენი" შარშან ყველგან და ყველაფერში ავანსცენაზე იყო. ითამაშა ორი ფინალი — ერთი საშინაო, გერმანიის თასზე, მეორე ევროპული, ჩემპიონთა ლიგაში და ორივეში დამარცხდა. იღბალმა ბუნდესლიგაშიც უმტყუნა და „ბაიერმა" აგერ, უკვე მერამდენედ ვერ იპირველა.

მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს, როგორც ვარაუდობენ, წლეულს მიხაელ ბალაკისა და ზე რობერტოს გარეშე უნდა გაუჭირდეს. მით უმეტეს, რომ გუნდის ლიდერები მოსისხლე მტერის, ჯიბესქელი „ბაიერნის" ხელში აღმოჩნდნენ.

წასულების სანაცვლოდ „ლევერკუზენმა" „სან პაულუდან" ბრაზილიელი თავდამსხმელი ფრანცა რვანახევარ მილიონ ევროდ, ხოლო ფლამენგოელი მცველი ჟუანი სამნახევარ მილიონად შეიძინა. გარდა ამისა, ტოპმიოლერს ბერნდ შნაიდერის ეიმედება.

**პროგნოზი: მესამე ადგილი**

### ბაიერნი (3)

ბავარიელები 1995 წლიდან მოყოლებული მეორეს ადგილს ქვემოთ არ დაშვებულან. წინა სეზონი ამ მხრივ გამონაკლისი იყო, „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგაც მეოთხედფინალიდან დატოვა. ახლა მიუნხენელები ამბობენ, მსგავსი არასოდეს განმეორდებაო.

ოტმარ ჰიცფელდმა ოლივერ კანს, მეჰმეთ შოლს, იენს იერემისს და ბიქსენტ ლიზარაზუს ბალაკი და ზე რობერტო შემატა. ბალაკში ექვსი მილიონი, ზე რობერტოში კი ცხრანახევარი მილიონი ევრო გაიღეს. არანაკლები შენაძენია „ჰერტას" ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი.

**პროგნოზი: ჩემპიონი**

### ჰერტა (4)

